ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 სამშაბათი, 11 სექტემბერი № 1579

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе».** ტელეფონი №372.

სეზონის დაწყება
ოთხშაბათს, 12 სექტემბერს 1901 წელს

ქართული თეატრი

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება
ქ-ნ ლიუბავას სადებიუტოთ

ციხის საიდუმლო

დრამა 4 მოქ. გადმოკ. ვ. გუნიას მიერ.

საღამოს ერთი ცხვირი ხეირია

ვოდევილი 1 მოქ. თხზულება გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ლეჟავა, მდივანი აბხაზიშვილი; ბ.ბ. აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, იმედაშვილი, ურუშაძე და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. **ფასები ჩვეულებრივია.**

რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

ანონსი: შემდეგი წარმოდგენა იქმნება 16 სექტემბერს: მზადდება ახალი პიესა **„პატიოსნება"** ზუდერმანისა.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7 კოროლენკოვის ქუჩა, №16, საკ. სახლი ტელეფონი 791.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.
მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.
გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.
ა. გ. ბარსუკოვი—ქალთა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.
ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.
ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.
დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.
ე. გ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.
ვ. ლ. მარკევიჩი—სდოსტაქრო $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.
ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1\frac{1}{2}$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.
გ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით, ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ტელეფონი № 274. (წლ.)

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება გაზეთ „ცნობის ფურცლი"-ს ნომრები. ფასი თითო ნომრისა 3 კაპეიკი.

ადგილობრივ მწერლობის მუშაკთა კრება

ბოლოს დროს არა ერთხელ გვქონია შემთხვევა შევხებოდით პროვინციალურ პრესის მდგომარეობას ეს საკითხი ამ ჟამად ყოველმხრივ ირკვევა რუსულს გაზეთებში, რადგანაც თვით მთავრობას განუზრახავს ცვლილების მოხდენა. ეს, სხვათა შორის, იმითაც მტკიცდება, რომ ამას წინად თვით ბეჭდვითი საქმის სამმართველოს უფროსი თავ. შახოვსკოი, მოგზაურობდა პროვინციაში, რათა ადგილობრივ გაეცნო პროვინციალურ მწერლობის მდგომარეობა და შეეტყო მისი საჭიროებანი. რომ ეს მდგომარეობა ანორმალურია, ამას დამტკიცება არ უნდა; წინაამდეგ შემთხვევაში არც მთავრობა შეუდგებოდა საქმის გარემოებათა კვლევა-ძიებას. საკითხი ეხლა მხოლოდ ის არის—როგორ და რა გზით ეშველოს საქმეს?

რომ გადავავლოთ თვალი ყველაფერს, რაც ამის შესახებ თქმულა და დაწერილა, ჩვენ შევნიშნავთ საკვირველს ერთ აზროვნებასა და ერთ სულოვნობას. გაზეთები, მიმართულების განურჩევლად, აღიარებენ, საჭიროა გაუმჯობესდეს პროვინციალურ პრესის მდგომარეობა. ყველა, კონსერვატიულ „ნოვოე ვრემია"-დან დაწყებული, ლიბერალურ „რუსსკ. ვედომოსტ"-ამდე, ერთ და იმავე მიზეზს ასახელებენ იმ უნუგეშო მდგომარეობისას, რომელშიაც იმყოფება დღეს ხსენებული პრესსა. ეს არის—მისი იურიდიულ ვითარების გამოურკვევლობა. მართალია, პროვინციალურ პრესსის იურიდიულ დებულებას საფუძვლად დაედო 1863 წლის კანონი, მაგრამ ამ კანონის მოქმედება დროთა განმავლობაში თითქმის სრულიად შეიცვალა მრავალ ცირკულიართა და განკარგულებათა მეოხებით. ახლა არავის არ შეუძლიაო, სწერს გაზ. „ნოვოსტ"-ი, გაიგოს, რა უფლება-მოვალეობა აქვს პროვინციალურ პერიოდულ გამოცემას! გარკვეულ კანონის მაგიერობას ამ ჟამად სწევს შეხედულება ყოველ საცენზურო დაწესებულებას ან ადმინისტრატორს, რომელსაც მინდობილი აქვს ცენზორობა, თავისი შეხედულება აქვს ამ საქმეზე. ამიტომაც არის განსხვავებული მდგომარეობა პერიოდულ გამოცემებისა სხვა და სხვა ადგილას. რაღა გასაკვირველია, რომ პრესსა ანორმალურ პირობებში იყოს, როდესაც მის კონტროლურ დაწესებულების მოქმედებას მტკიცედ განსაზღვრული კანონები არ უდევს საფუძვლად და ყოველივე—მოხელის ნება-შეხედულებაზეა დამყარებული?!.

როგორც მიზეზების გამორკვევაში არიან თანახმანი ერთმანეთში გაზეთები, ისე იმ საშუალების ჩვენებაშიაც, რომელმაც უნდა მოსპოს დღევანდელი ანორმალური მდგომარეობა პროვინციალურ პრესსისა. მოკლედ რომ გამოვსთქვათ გაზეთების აზრი ამის შესახებ, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ყველანი თხოულობენ საერთოსა და ამასთანავე მარტივს დებულებას მთელის რუსეთის პრესსისათვის.

აწ არსებული საცენზურო დებულება ჰყოფს პერიოდულ გამოცემათ ორ ნაწილად: სატახტო ქალაქების გამოცემანი ექვემდებარებიან ერთ წესს, პროვინციისა—მეორეს. პირველი გამოცემანი თავისუფალნი არიან ეგრედ წოდებულ წინა ცენზურისაგან; ისინი ყოველ-დღიურ ან თვიურ მასალას არ უგზავნიან გადასასინჯავად ცენზორს, არამედ თავის პასუხის გებით ჰბეჭდვენ მას; მეორეთ კი არ შეუძლიათ თავის ნებით, უცენზუროდ, დაჰბეჭდონ ერთი სტრიქონიც..

სატახტო ქალაქების პერიოდულ გამოცემათა თითქმის 30 წლის მაგალითმა დაამტკიცა, რომ სახელმწიფოსათვის არავითარ უხერხულობას არ წარმოადგენს პერი-

ფელეტონი

უცხოეთის წვრილმანი

II*)

ეხლა ვნახოთ, რას ამბობს იგივე კორესპონდენტი ჩინეთის სწავლა-განათლების შესახებ:

„ამ ოთხას მილიონ პირუტყვს(!?) წინ მიუძღვის ერთი მუჭა მანდარინთა, რომლის რიცხვი ძლივს-ძლივობით რამდენიმე ათასს მიაღწევს. ამ რამოდენიმე ათასს მანდარინს თავისის მხრით წინამძღვრობს რამდენიმე ასი ათასი წინაპარი და რათა მოიპოვოთ თავი ამ განუწყვეტელის ჯაჭვისა, რომლითაც მთელის ჩინელების ცხვირია გადაბმული, არა თუ კონფუციუსამდის უნდა ახვიდეთ, არამედ იმპერატორ ფუ-სის საფლავამდის უნდა იაროთ. რამდენად უფრო ახლო ვაკვირდები ჩინელების ცხოვრებასა და ისტორიას, იმდენად უფრო ღრმად ვრწმუნდები, რომ ჩინელების ცხოვრების მიმდინარეობის სიმბოლო მათის აქლემების სიარულია. მეორე ჩინელის ცხვირი უსათუოდ პირველის ჩინელის ცხვირს მისდევდა უკან, ხოლო მესამე ჩინელის ცხვირი, მეორე ცხვირს ახლდა, ამგვარად აქლემებივით მოძრაობდა ჩინეთი და თვალით მხოლოდ მისის წინ-მავალის ზურგსა ჰხედავდა. მართალია, ზოგიერთები, როგორც ლი-ხუნ-ჩანგი და ჩანგ-ჩე-ტანგი სცდილობენ ზურგს გარდა სხვა რამეც დაინახონ, მაგრამ რა ჰქმნან და რა უნდა დაინახონ, აურაცხელის მიწაში ჩაქინდრულ ცხვირების გარდა".

კორესპონდენტს უნახავს ვიცე-კოროლისაგან ერთ-ერთ პროვინციაში გაღებული სკოლა. ამ სკოლაში ასწავლიან იმ მეთოდით, რომელიც ცნობილია ერთად-ერთ „ხეირიან, ნამდვილ, ჭეშმარიტ და გონიერს" მეთოდადო და რომელიც არის წარღვნის დროინდელი. წარღვნის დროის იყვნენ მასწავლებელნიც, „წელში მოხრილნი, დასუსტებულნი, გულ-ჩავარდნილნი", რომელნიც წარა-მარა ახველებდნენ და ნახველს იღებდნენ. ამ გვარ სკოლებს ეძახიან „კვოკ-ჰოკ"-ს (ეს სიტყვა ისე გამოითქმის, ამბობს კორესპონდენტი, როგორც ქათმის კაკანი კვერცხის დების დროსაო). შიგ ზის ასიოდე მოსწავლე, შავის ბლუზებით მორთულნი, პირ-მრგვალნი არიან, მეტად წყნარნი და მეტად ბრძენნი. არასოდეს არ იცინიან, არასოდეს არ ლაპარაკობენ ერთმანეთთან, არასოდეს არ გაინძრევიან ურიგოდ. ეს მიუცილებელია, რადგან თუ მოსწავლეს სურს ეგზამენის დაჭერის ნება მისცენ, უნდა იყვეს განთქმული „მტკიცე პატიოსნებით, სიწყნარით, შვილებრივის მორჩილებით, ძმურის მეგობრობით, უბიწოებითა და სინა-ნარით". ანა და, როგორც ბანგ-ტძემა სთქვა, უმაღლესის განათლების მოთხოვნილება ის არის, რომ „გონიერების პრინციპი აღიაროს და განაახლოს კაცი მით, რომ მისის ცხოვრების უმთავრეს აზრად აღუნიშნოს გაუმჯობესება; არ უნდა მიაქციოს ყურადღება მეტაფიზიკურ სწავლას, რადგან იგი კაცის ცოდნას აღემატება, და მტკიცედ დაამყაროს მშვენიერების, სიკეთის და სასარგებლო პრინციპი. უმაღლესმა განათლებამ უნდა დაამყაროს თანხმობა, მშობლებთა და მოხუცთა პატივის-ცემა, უფროსის წინაშე მორჩილება უნცროსთაგან; შეაგნებინოს მეფესა და ქვეშევრდომთ ურთიერთ-შორის მოვალეობა და ასწავლოს მოვალეობა ხალხის წინაშე მოხელეთა და მწიგნობართ". ჩინეთის სწავლა-განათლების დედა-აზრი სალტოლველი საგანი ეს არის, ხოლო პრაქტიკული პროგრამმა შვილებისა შემდეგია:

რა ცოდნა არის საჭირო მათთვის, ვისაც სურს მიიღოს დიპლომი საშუალო და უმაღლესის სასწავლებლის გათავებასა და აგრეთვე სამეცნიერო ხარისხი (დოქტორობა). პირველი გამოცდა: ჩინელის ერთისა, თუ რამდენიმე წიგნის ახსნა. ეს წიგნები არიან: კონგ-ფუ-ტძეს მოძღვრების წიგნები, ანუ საეკკლესიო წიგნები ხუ-კინგის, საეკკლესიო ისტორიის წიგნი; პოეზია ხი-კინგის; ცვალებათა წიგნი ი-კინგის, ლიკის წიგნი სარწმუნოებრივ ცერემონიების შესახებ. კონგ-ფუ-ტძეს მოძღვრების წიგნები, ანუ კლასსიკური წიგნები: ლუნ-იუ კალმასობა; ჩუნგიუნგი, მოძღვრება მწყობრობისა, ე. ი. ჰარმონიისა და თანხმობის თეორია, ტა—ჰიო ანუ უმთავრესი მოძღვრება და თქმულებანი მენგ-ტსესი.

მეორე გამოცდა: შეთხზვა ლექსისა, რომელსაც რვა კუპლეტი უნდა ჰქონდეს, და გვარიანად მოზრდილის ოდის შეთხზვა.

მესამე გამოცდა: დისერტაცია პროზად. მეოთხე გამოცდა: ახალი ტემის ლექსი და ახალი ოდა, ანუ დისერტაცია პროზად. ეს ოთხი გამოცდა უნდა გაიაროს, ვისაც სურს საშუალო და უმაღლესის სწავლის დიპლომი მიიღოს.

ვისაც სურს დოქტორობა მიიღოს, უნდა გაიაროს:

1 გამოცდა: სამი კომენტარია (ახსნა) კლასსიკურისა და საეკკლესიო წიგნებისა.
2 გამოცდა: შეთხზვა საიმპერატორო მანიფესტისა ანა და იმპერატორისთვის მისართმევის ადრესისა.
3 გამოცდა: ფილოსოფიური დისერტაცია.
4 გამოცდა: ლექსისა და ოდის შეთხზვა.
5 გამოცდა: დისერტაცია პროზად თანამედროვე საგნის შესახებ: თანამედროვე მეფობის ისტორია, ხარჯის, ადმინისტრაციისა და სხვ. ისტორია.

---

*) იხ. „ცნ. ფურც." № 1575.

ოდულ გამოცემათა განთავისუფლება წინა ცენზურისაგან. ხსენებული გამოცემანი არასოდეს არ გადასცილებიან ლეგალურ წრეს და არც შეუძლიათ გადასცილდნენ, რადგანაც მთავრობას ისედაც ხელთ აქვს ძლიერი იარაღი პრესსის კანონიერ კალაპოტში ჩაყენებისათვის... განთავისუფლება წინა ცენზურისაგან, ერთად-ერთი გზაა, რომელიც იხსნის პროვინციალურ პრესსას დღევანდელ აწეწილ-დაწეწილ მდგომარეობისაგან და ამიტომაც თხოულობენ ამას დღეს გაზეთები და შუამდგომლობა აღძრეს თავ. შახოვსკოის წინაშე ყველა იმ ადგილების გამოცემათა რედაქტორ-გამომცემლებმა, სადაც ის ამ ზაფხულს მოგზაურობდა...

სწორედ სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ტფილისის გამომცემლებმაც ითავეს და აპირებენ საერთოდ მოლაპარაკების გამართვას ადგილობრივ მწერლობის საჭიროებათა შესახებ. ერთ-ერთ აქაურს გაზეთში კიდევაც დაიბეჭდა საკითხები, რომელთა შესახებ მოლაპარაკებაა განზრახული. აი ეს საკითხებიც:

1) განსაკუთრებულ ცენზორის დანიშვნა იმ ქალაქებში, სადაც ცენზორობა ევალება ადმინისტარაციის მოხელეს; 2) მიეცეს ადგილობრივ გაზეთებს ნება უცენზუროდ გადმობეჭდონ მთავრობის გამოცემებიდან წერილები და ამბები; 3) მოისპოს წინა ცენზურა და შემოღებულ იქნას ის წესები, რომელთა მიხედვით იბეჭდებიან სატახტო ქალაქების გაზეთები; 4) მიეცეს გაზეთებს ნება უცენზუროდ ჰბეჭდონ საღამოს ამბები; 5) პეტერბურგში ნებადართულნი კერძო დეპეშები უცენზუროდ იბეჭდებოდენ აქაურს გაზეთებში; 6) „რუსეთის დეპეშათა სააგენტოს“ განყოფილება დაარსდეს ტფილისში; 7) მოწესრიგდეს გაზეთების გაგზავნა ფოსტით და დარიგება ხელის მომწერთათვის; 8) მოწესრიგდეს ადგილობრივ გამოცემათა დასჯის საქმე; 9) შეატყობინონ ხოლმე ადგილობრივ რედაქციებს ყველა ის ცირკულიარები, რომელთაც ბეჭდვითი საქმის სამმართველო გზავნის; 10) დაარსდეს ტფილისში ასოთამწყობთა სკოლა; 11) მოწესრიგდეს რედაქციების შუა ურთიერთობა და 12) ნება დართულ იქმნან ადგილობრივ მწერლობის მუშაკთა დრო-გამოშვებითი კრებანი.

რასაკვირველია, ეს პროგრამა ვერ არის სრული, სავსებით ვერ გამოხატავს ჩვენის პრესსის საჭიროებათ, მაგრამ ეს წვრილმანია; თავი და თავი საქმე ის არის, რომ ინიციატორებმა არ იკმარონ ერთის ნაბიჯის გადადგმა, არამედ გამოარკვიონ სავსებით საქმე და ვისიც ჯერ არს, იმას ამცნონ ნამდვილი მდგომარეობა და საჭიროებანი ჩვენის პერიოდულის მწერლობისა.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

9 სექტემბერი

ბერლინი. ლუბემ სადღეგრძელო წარმოსთქვა; ლაპარაკის დროს, ცოტა არ იყოს, აღელდა; ხღელდნენ ყველა დამსწრენიც. ეს აღელვება მაშინ უფრო გაძლიერდა, როცა მისმა უდიდებულესობამ ლუბეს უპასუხა. იმპერატორმა მკაფიოდ და ძლიერის ხმით სთქვა: „ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ ვსტოვებთ საფრანგეთს, სადაც კიდევ ერთხელ ასე გულწრფელად მიგვიღეს. მე მსურს გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ ამისთანა დახვედრისათვის. მეცა და დედოფალსაც სამუდამოთ დაგვახსოვდება ეს რამდენიმე ბრწყინვალე დღე; ეს დღეები ღრმად ჩაგვეჭრა გულში და შორიდანაც ყოველთვის დიდის ყურადღებით ვადევნებთ თვალს ყველას, რაც ჩვენ მეგობარ საფრანგეთს შეეხება. ჩვენი ქვეყნების შემაერთებელი კავშირი უფრო გამტკიცდა. ამას ნათლად ჰმოწმობს ის თანაგრძნობაც, რამაც აქ ასე მკაფიოდ იჩინა თავი და რასაც ასე გულწრფელად მისცა ბანი რუსეთმაც. ჩვენ ქვეყნებს მშვიდობიანობის და თავიანთ უფლების დაცვა აქვთ საგნად და არავისი უფლების შეზღუდვა არა სწადიანთ,— ამისთანა ქვეყნების ერთობასა და კავშირს დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი კაცობრიობის მშვიდობიანობისათვის. ვსვამ ჩვენი მეგობარი და მოკავშირე საფრანგეთის კეთილდღეობის, მამაცი ჯარის და მშვენიერი ფლოტის სადღეგრძელოს (აღტაცებული ძახილი). ნება მიბოძეთ, ბატონო პრეზიდენტო, კიდევ მადლობა გადაგიხადოთ და თქვენი პატივისცემის ნიშნად ეს ჭიქა დავლიო». ორკესტრმა მარსელიეზა დაუკრა. ფრანგებმა და რუსებმა იმპერატორისა, დედოფლისა და ლუბეს სადღეგრძელოები დალიეს.

რეიმსი. პრეზიდენტმა ლუბემ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის პატივსაცემლად საუზმე გამართა. სუფრა 500 კაცისათვის იყო გაშლილი. კარავი, სადაც ეს სუფრა გაიშალა, მშვენივრად იყო მორთული ბაირაღებით. დედოფალს ყოველ სადილის დროს ედელვეისის თაიგულს დაუდგამდნენ ხოლმე წინა. ამ საუზმის დროსაც ამნაირივე თაიგული მოართვეს. თაიგულს ლენტი ჰქონდა გაკეთებული. ლენტზე მისასალმებელი სიტყვები ეწერა. მათი უდიდებულესობანი სუფრის შუა ადგილას ისხდნენ. იმპერატორის მარცხნივ ქ-ნი ლუბე იჯდა, დედოფლის მარჯვნივ პრეზიდენტი ლუბე.

იმპერატორმა დელკასეს თავისი და დედოფლის სურათი უბოძა ზედ წარწერით; სურათების ჩარჩო ბრილიანტებითაა შემკობილი.

რეიმსი. ვიდრე მატარებელში ჩასხდებოდნენ, მათი უდიდებულესობანი დამსწრე პირებს ებაასნენ. დედოფალმა ქ-ნ ლუბეს ხელი ჩამოართვა და მადლობა გარდაუხადა. ამის შემდეგ მინისტრების ცოლებსა, ქ-ნ დეშანელს და ქ-ნ ფალიერსაც ჩამოართვა ხელი. იმპერატორმა გენერალ ანდრეს ჩამოართვა ხელი და გამოუცხადა: დიდად მასიამოვნა საფრანგეთის ჯარის წარმატებამაო. ამის შემდეგ მისმა უდიდებულესობამ ხელი ჩამოართვა მინისტრებს და ვალდეკ-რუსსოს. პირველ-მინისტრს ებაასა კიდეც. შემდეგ ქ-ნ ლუბეს, ქ-ნ დეშანელს და ქ-ნ ვალდეკ-რუსსოს ჩამოართვა ხელი. ლუბემა და ქ-ნ ლუბემ იმპერატორი და დედოფალი ვაგონამდე მიაცილეს. იმპერატორმა ლუბეს რამდენჯერმე ჩამოართვა ხელი; ასევე მოიქცა დედოფალიც. მათ უდიდებულესობათ შემდეგ ქ-ნ ლუბეს ჩამოართვეს ხელი. ამის შემდეგ პრეზიდენტი მატარებლიდან გავიდა. ნიშანი მისცეს, რომ მატარებელი დაძრულიყო. მათი უდიდებულესობანი ფანჯარასთან იდგნენ და ყველას ემშვიდობებოდნენ. ყველა დამსწრემ ქუდი მოიხადა; ორკესტრმა მარსელიეზა დაუკრეს; ყველა იძახოდა: „რუსეთს გაუმარჯოსო“.

პარიზი. როცა იმპერატორი ვალდეკ-რუსსოს ემშვიდობებოდა, სთხოვა, პარიზელი ღარიბებისათვის 100 ათასი ფრანკი მიიღეო, 15 ათასი ფრანკი დიუნკირხენის ღარიბებისათვის, 15 ათასი კომპიენის გაჭირვებულ მცხოვრებთათვის, 15 რეიმსის გაჭირვებული მცხოვრებთათვის და 500 ფრანკი ტუბას ახლო რომ რიპში აფეთქება მოხდა იქაურ დაზარებულთათვის.

ჰააგა. საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს ადმინისტრაციულ საბჭოს წევრს წერილით გამოუცხადეს: ბურების შუამდგომლობას ადმინისტრატიული საბჭოს პირველ სხდომასვე წარვუდგენთ განსახილველადაო. ბურები თხოულობენ, ჩვენი საქმე სამედიატორო სასამართლომ გაარჩიოსო.

ამსტერდამი. «ჰანდელსბლადტ»-ი იუწყება: ბურების მისსიის წევრები გუშინ ლიდსანს ესაუბრნენ მინისტრ პრეზიდენტს რუპერსაო.

(სხვა დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

შეერთებული შტატები. უცხოეთის გაზეთებში შემდეგი საინტერესო ცნობებია დაბეჭდილი ახალ პრეზიდენტ რუზველტზე:

«რუზველტის გვარი გამოჩენილი გვარია მთელ ნიუ-იორკში. მამა მისი მეფაბრიკე და ქველ-მოქმედი კაცი იყო. შვილს დიდი შეძლება დარჩა და შეეძლო არხეინად მდიდრულად ეცხოვრა, ისე, როგორც სხვა მდიდარი კაცის შვილები სცხოვრობენ. მაგრამ ახალ-გაზდა რუზველტს უსაქმობა სძულდა და არც თუ ფულის მოგება ეწადა. «განა მთელ ქვეყნიერებაზე იქნება ვინმე იმ ამერიკელებზე საძაგელი და საზიზღარი, ვინც მარტო ფულის მოგების გზაზე დგანან და ფულის მეტი სხვა აღარა აგონდებათ-რა. ამისთანა ამერიკელებს მარტო შეძლების შეძენა აგონდებათ და ეს შეძლება მხოლოდ იმისათვის უნდათ, რომ იმათ ვაჟიშვილებმა უსაქმოდ, ბედოვლათურად და სულელურად გაატარონ თავიანთი დღენი, იმათმა ქალიშვილებმა კიდე შეირთონ ვინმე დიდი-კაცის შვილი, ოღონდ გამოჩენილი გვარისა კი იყვეს და სულ ერთია იმათთვის, გინდ ამერიკელი იყვეს, გინდ უცხოელი», —ასე ამბობდა რუზველტი.

23 წლის იყო, როცა რუზველტი ნიუ-იორკის შტატის კანონმდებელ კრების წევრად აირჩიეს. კრების ძველმა წევრებმა წინდაწინ აბუჩად აიგდეს, მაგრამ ახალგაზრდა არისტოკრატმა მალე დიდი მხნეობა გამოიჩინა და მედგარი იერიში მიიტანა იმ მოღვაწეებზე, ვინც ქრთამს იღებდნენ. არავინ არ დაზოგა, არც თავისი დასის წევრები, არც სხვისა. რუზველტი არავის არ ერიდებოდა, ყველას მედგრად უხვდებოდა. ერთხელ ახალგაზდა მოღვაწემ ერთი რკინის გზის დირექტორებს პირდაპირ პირში ესეთი სიტყვები მიახალა: «უბრალო ქურდების ბრბო ხართო». მეტ სახელად ამ „ფაფა-ბატონებს «მდიდარი ავაზაკების კლასსი» უწოდა. ეს სახელი დღემდე შერჩათ ამნაირ კაცებს. უნდა იცოდეთ, რომ ამ რკინის გზის ამხანაგობას მეთაურად გათქმული მილიარდერი ჯულდი იყო. არ გეგონოთ კი, რომ რუზველტი დემაგოგი ყოფილიყოს და ხალხის სიამოვნებაზე ევლოს. ხალხისაგან მოწონების დამსახურებას სრულებითაც არ დაეძებდა: როცა ნიუ-იორკის პოლიციის უფროსად იყო, ისე მედგრად, მკაცრად

როცა ეგზამენები გათავდება, დიდის ცერემონიით გამოაცხადებენ დიპლომის მიმღების სახელებს: ვინც ოთხივე გამოცდაში მიიღო ნიშანი „საუკეთესო“, იგი ცნობილია უმაღლესის სწავლის დამმთავრებლად და უმაღლესის სწავლის გათავების დიპლომი ეძლევა, ხოლო მათ, რომელთაც ნიშნად მიიღეს „კარგად“, „გვარიანად“—ცნობილნი არიან საშუალო სასწავლებლის დამმთავრებლად.

დოქტორის ხარისხი თვით იმპერატორისაგან ეძლევა.

ბევრი ჩინელი რვა, ათისა, თხუთმეტისა და ოცის წლის განმავლობაში სწავლობს ამგვარად. ხშირად შეხვდებით პროვინციებში ჩინელებს, რომელნიც მთელი სიცოცხლე სწავლობენ: სწერენ დისერტაციებს, კომენტარიებს, ლექსებს და სხვა და სხვა განმარტებას იმ საგნების შესახებ, რომელიც ამოღებულია ხუთის საეკლესიო წიგნიდან. მათი მეთოდი, აზროვნებისა და ლოღიკის გამოცდილების პრინციპი ეს ყოველივე კონფუციუსია. ბუნების მეტყველება, ფიზიკა, მათემატიკა—ეს ყველა კონფუციუსშია და, მართალია, კონფუციუსმა არა იცოდა-რა იმ განვითარების და იმ ახალის კანონებისა, რომელიც თანამედროვე მეცნიერებამ შექმნა, მაგრამ ეს ჩინელთათვის სულ ერთია და 2500-ის წლის შემდეგ კონფუციუსისა, იმათაც არა ეცოდინებათ რა ახალის აღმოჩენების შესახებ და არც კი შერცხვებათ ამისით. დარვინი და ლაპლასი რომ ჩინეთში დაბადებულიყვნენ, მართალია, დოქტორობის პირველ ხარისხს მიიღებდნენ, მაგრამ მთელს თავისს სიცოცხლეს მარტო იმაში გაატარებდნენ, რომ ჩინური კითხვა ესწავლათ, რადგან ჩინელი მოსწავლეები და მეცნიერები მეტს არას აკეთებენ, თუ არ იმას, რომ კითხვა ისწავლონ და მართლაც ეს არ არის ისე მცირე შრომა, როგორც ეგონება კაცსო. საქმე იმაშია, რომ ჩინელებს ანბანი კი არა აქვთ, საგნის გამომხატველი ნიშნები აქვთ და ამ ნიშნების რიცხვი 50000-მდე ადის, რაიცა თითქმის არც კი კმარა კაცის აზრის სხვა და სხვა გამოხატულების აღსანიშნავად. ნივთიერი საგნები გამოიხატება იმგვარის ნიშნებით, რომელიც წააგავს მათ გარეგან ფორმას ანა და რაიმე არსებით თვისებას მოგვაგონებსთ. ხოლო განყენებული წარმოდგენა, გრძნობა, აზრის მიმოხვრა ეს ყოველივე წარმოდგენილია სიმბოლოთი და სიმბოლოთა კომბინაციით. ყოველი წერა-კითხვის მცოდნე ზეპირად სწავლობს, რამდენადაც შეიძლება მეტ ნიშნებს. თუ 6000 ნიშანი იცის, საშუალო სასწავლებელის გათავების დიპლომი აქვს, ხოლო თუ 15,000 ნიშანი იცის, იგი დოქტორია. მაგრამ 15,000 ნიშანი 50000-ზედ ერთობ ცოტაა და ამისათვის უბედური დოქტორი თავს აკლავს სწავლას და თუ 20000 ნიშანი შეისწავლა, მაშინ იგი კმაყოფილი და ბედნიერი ჰკვდება. მაგრამ 20000 ნიშანიც ცოტაა და ამის შემდეგაც მხოლოდ ლექსიკონების შემწეობით შეუძლია წაიკითხოს რამე მეცნიერმა დოქტორმა.

„დიდი უბედურებაო, განაგრძობს კორესპონდენტი, კიდევ იმაშია, რომ თავისდღეში არა ერთი ჩინელი მწიგნობარი არ ეთანხმება ერთმანერთს წიგნების აზრის წაკითხვაში, იმდენად ძნელია ჩინური წერა-კითხვა. მაგალითად, ვსთხოვე ერთ მასწავლებელს წაეკითხა რომელიმე ადგილი კონფუციუსიდან. ბევრის ტანჯვა-წვალების შემდეგ ამოიკითხა დანიშნული ადგილი ამგვარად: კაცი—არსება—ადგილი—ძაფი—ხალხი—და შესაძლო—შექმნა—როგორ—ქოთება—კაცობრიული. და მეტი ვერა ამიხსნა რაო. მივმართე უფროსს მასწავლებელს, რომელიც უფრო განსწავლულია და აი ამანაც წამიკითხა ამგვარადაო: კაცი—არსება—ადგილი—კავშირი—ბრბო—და შესაძლო—მოქმედება—როგორ—კაცობრიული. მეტი ვერც არა ამან მითხრა რაო, ასე რომ ვერც ერთმა მასწავლებელმა ვერ წამიკითხა და ვერ ამიხსნა კონფუციუსის ადგილიო.“

III

დღევანდელის ლიტერატურის საქმე მართლა რომ ახირებულია. ერთმა მწერალმა დღევანდელი მდგომარეობა ლიტერატურისა სამართლიანად დასახა ანარქიულად. მართლაც, სხვა და სხვა მიმართულება ისე სცვლის ერთმანერთს, ისეთის სისწრაფით თანსდევს ერთი მეორეს, რომ მეტად ძნელი ხდება მთავარი მიმართულების აღნიშვნა. ერთია მხოლოდ უეჭველი—ეს ის, რომ „ახალი“ რაღაც იბადება, და რადგან ქვეყანაზედ ისეთი ახალი არა არის რა, რომ ძველის ელემენტებისაგან არ შესდგებოდეს, ლიტერატურულ ახალ მიმართულებასაც ძველი ელემენტები ურევია. ერთის მხრით იგი რომანტიზმიდან იღებს საუკეთესო ელემენტებს, მეორეს მხრით ნატურალიზმისაგან კარგს ითვისებს.

წარმოიდგინეთ კლასიციზმსაც კი ჰყავს თავისი მიმდევარნი. ასე სჩანს მაინც იმ აზრიდან, რომელიც ჩვენშიაც ცნობილ ფრანგულ დრამების მწერალ აკადემიკოსს პოლ ერვიეს *) ფრანგულის დრამის შესახებ წარმოუთქვამს: ეს აზრი მოყვანილი აქვს ფრანგულ გაზეთ „ტან“-ის თეატრის მემატიანეს ბ. ლარუმეს თავისის შენიშვნებით. ჩვენს დროში მხოლოდ ორი-ღა გვარი დარჩა დრამატიულის ნაწარმოებისა—კომედია და ტრაგედია ე. ი. ცხოვრების სასაცილო და სამწუხარო მოვლენების დასურათება დრამატიულის ფორმით. დიდროს თეორია იმის შესახებ, რომ დრამაში ერთად მოთავსებული უნდა იყოს სასაცილო და სამწუხარო მოვლენა, ეხლა

---

*) მისი დრამა „ბრჭყალები“ არათუ გადმოთარგმნილია ქართულად, კიდევაც უთამაშნიათ ჩვენს სცენაზედ.

ასრულებდა კანონებს სპორტის გაჭრობის შესახებ, რომ სწორედ ყველას თავი შეაძულა.

რუზველტი" გამოჩენილი ორატორი არაა, თუმცა მისი ფიცხი და ძლიერი ლაპარაკი ყოველთვის დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, თავისი მხნე, გამბედავი და გულწრფელი კილოთი ყოველთვის მიიზიდავს ხოლმე მსმენელებს. ვინც კი ან განათლებისა და ან სხვანაირი საშუალებით კარგ ყოფასა და ბედში ჩავარდნილა, რუზველტი ყოველთვის აგონებთ, თქვენი მოვალეობა საზოგადოებისადმი არ უნდა გავიწყდებოდეთო: «ვისაც თავისი მოვალეობის შესრულება სწადიან, უსათუოდ პოლიტიკურ ასპარეზზე უნდა მოქმედობდესო. წარმატებას, პროგრესს ის გვაძლევს, ვინც მოქმედობს და არა ის, ვინც მარტო ენით ლაპარაკობს. «ხალხს ყოველთვის იმას აგონებს, მოხერხებულ და გაქნილ პოლიტიკოსებს ნუ ენდობით და უსინდისო და სულ-გაყიდულ კაცებს ზიზღით უქინეთო. ჯემს ბრაისს უთქვამს ერთი უცხოელისათვის: «რუზველტი—ამერიკის იმედიაო». იმ უნივერსიტეტის პროფესორს, სადაც რუზველტი სწავლობდა, უთქვამს: «რამდენადაც ეს ახალგაზრდა კაცი გაიმარჯვებს თავის პოლიტიკურ ასპარეზზე, უნდა იცოდეთ, შეერთებული შტატების პოლიტიკაც იმდენად გასაღდება და გასუფთავდებაო».

* გაზეთები იუწყებიან: როცა გერმანიაში გაიგეს, პრეზიდენტად რუზველტი დადგაო, გერმანელ პოლიტიკოსებს ცოტა არ იყოს ეცხთათ ეს ამბავიო: მაკ-კინლეის ვჩიოდით და ეს უარესი ცეცხლი და ნავთი კაცი არ დადგაო; ეს ხომ სულ ახლო აღარ მიგვაკარებს ამერიკის ქვეყნებსაო. გერმანიის მთავრობის მომხრე გაზეთები, მეტი რა ჩარა აქვთ, ეხლა მოჰყვნენ დ თურმე სულ ქებითა და დიდებით იხსენიებენ შეერთებულ შტატებსა და ახალ პრეზიდენტსაც. უნდათ, ამ ტკბილი ლაპარაკით მაინც მოიგონ რუზველტის გული. ინგლისის გაზეთები და მთავრობაც თურმე მეტად ცდილობენ, რომ რუზველტიც მაკ-კინლეისავით დაიმეგობრონ. ერთი გაზეთი ამბობს: ახალ პრეზიდენტთან ვერავინ ვერას გაჰყიდისო. ვერავინ მოჰხიბლავს ტკბილის ლაპარაკითაო. მაკ-კინლეიზე უფრო მედგრადა და მოხერხებულად წაიყვანს გარეშე საქმეებსაო. ესპანიასთან ომიც მომეტებულ ნაწილად რუზველტმა გაიბედვინა მაკ-კინლეისაო. განსვენებულს თათბირის დროს ეკითხნა რუზველტისათვის (მაშინ ზღვის მინისტრის თანაშემწედ იყო): რას იზამდი, ჩემს ადგილას რომ იყოო?—ეხლავე ფლოტს გავგზავნიდი და ესპანიის ფლოტს ხელად გავანადგურებდით,—უპასუხნა რუზველტს. ერთის სიტყვით ამერიკის გარეშე პოლიტიკა რუზველტის ხელში სრულებით არ შეიცვლებაო,—ამბობს ყველა გაზეთი.

შინაურის პოლიტიკის თაობაზე გაზეთები ნათლად, გარკვევით არას ამბობენ, მაგრამ ბევრს იმედი აქვს, რუზველტი მედგარ, ძლიერ ბრძოლას აუტეხს მრეწველების ტრესტებსა და სინდიკატებსაო, ამ «უბრალო ქურდებსა» და «ავაზაკების კლასსაო». მაკ-კინლეის გარდაცვალება რომ გაეგოთ, ნიუ-იორკის ბირჟას და ყველა დიდ მრეწველებს შიშის ზარი დასცემოდა. კაპიტალისტებსა და ფინანსისტებს ახსოვთ რუზველტის მკაცრი, გაბედული ხასიათი, მისი ქცევა ნიუ-იორკის კანონმდებელ კრებაში და შემდეგ გუბერნატორობის დროს და ამიტომ კარგს არას მოელიან ახალ პრეზიდენტისაგანაო.

«ნიუ-იორკ-ჰერალდ»-ი ამ ნაირად ასურათებს ახალი პრეზიდენტის პოლიტიკას. გაზეთი თითონ პრეზიდენტის ნათქვამს მოგვითხრობს. რუზველტს უთქვამს:

«სულით და გულით მრწამს მონროეს დოქტრინა: (ამერიკა ამერიკელთათვის) და შეუძლებლად მიმაჩნია, რომ ევროპის რომელიმე სახელმწიფომ ამერიკაში ადგილი დაიჭიროს.

«მშვიდობიანობა მხოლოდ მაშინ დამყარდება ქვეყნიერობაზე, როცა განათლებული ერები ყველა ბარბაროსთა ქვეყნებს დაიპყრობენ. ჩვენ ბაირაღი გავშალეთ ფილიპეს კუნძულებზე და ამ ბაირაღს არას დროს არ ჩამოვიღებთ. მილიტარიზმის წინააღმდეგ ლაპარაკი სულ უქმი, უბრალო ლაპარაკია.

«ჩვენ დროში შეერთებული შტატებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი, თავი-და-თავი საქმე მუშების საქმეა.

თითონ პრეზიდენტს კი ჯერ თავისი პოლიტიკის თაობაზე არა უთქვამს-რა ისეთი საყურადღებო. როცა მაკ-კინლეის გარდაცვალების შემდეგ რუზველტს ფიცი მიეღო, მარტო ეს ეთქვა:

«ეროვნული მწუხარების დროს, მე მხოლოდ ის მწადიან, რომ პრეზიდენტი მაკ-კინლეის პოლიტიკა განვაგრძო ჩვენი გულწრფელად საყვარელი სამშობლოს მშვიდობიანობისა, კეთილდღეობისა და დიდების განსამტკიცებლად».

ამერიკელები და უცხოელი ჟურნალისტები მისულან რუზველტთან სანახავად, მაგრამ პრეზიდენტს უთქვამს, ეხლა ვერას გეტყვით ჩემი პოლიტიკური პროგრამმის შესახებო.

✡ «ფიგარო»-ს სწერენ ნიუ-იორკიდან:

«გაზეთებმა ჩოლგოსის სურათი დაბეჭდეს. საოცრადა ჰგავს იტალიის მეფის ჰუმბერტოს მკვლელს, ბრეშის.

«ჩოლგოსს უკითხავს ციხეში მოხელეებისათვის: როგორაა პრეზიდენტი, მორჩა, თუ გარდაიცვალაო? მოხელეებს პასუხი არ უღირსებიათ. ჩოლგოსს ამაზე დიდი ჯავრი მოჰსვლია.

✡ იმავე გაზეთს სწერენ ამერიკიდან: ჩიკაგოში 2000 სოციალისტმა მუშამ კრება მოახდინა. კრებამ სინანული გამოაცხადა მაკ-კინლეის მოკვლის თაობაზე, ამავე დროს გამოაცხადა, განსვენებული პრეზიდენტი კაპიტალისტების მომხრე იყო და მუშების საქმეს სრულებით ყურს არ უგდებდაო.

პენსილვანიაში 200 ანარქისტმაც მოახდინა კრება. კრებაზე ორატორები ჩოლგოსს აქებდნენ და ამტკიცებდნენ, დიდად სასახელო საქმე ჩაიდინა და ჩვენი დასის სახელი ადიდაო. პოლიციას ხმაც არ გაუცია ანარქისტებისათვის.

დიდ ფინანსისტებს: პიერპონტს, მორგანსა და სხვებს ხალხი მიესია და ცუდს საქმეს დაჰმართებდა, რომ პოლიციას არ ეშველაო».

✡ ნიუ-იორკიდან იწერებიან 1 სექტემბრის რიცხვით: «გაფიცული მუშების საზოგადოების მეთაურებს და ფოლადის ტრესტის მეთაურებს მთელი ექვსი საათი თათბირი ჰქონდათ. თათბირის შემდეგ მუშების მეთაურებმა გამოაცხადეს: გაფიცვა გათავდაო; წარსულ ორშაბათს გაფიცულ მუშებს მუშაობა უნდა დაეწყოთ».

საფრანგეთი. «ფიგარო» იუწყება: ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს მელინს უფროსი ქალიშვილი გარდაეცვალა, ამ უბედურებამ ისე ძლიერ იმოქმედა მელინზე, რომ განზრახვა აქვს პოლიტიკურ ასპარეზს სულ მთლად თავი დაანებოს.

ახალი ამბავი

✦ როგორც მკითხველებმა იციან, უფის ქალაქის თავი შუამდგომლობდა, რათა შინაგან საქმეთა სამინისტროს ნება დაერთო რუსეთის იმპერიის ქალაქის თავებისათვის პეტერბურგში კრება მოეხდინათ თვითმართველობის ზოგიერთ საზოგადო კითხვების განსახილველად. ეხლა პეტერბურგის გაზეთები იტყობინებიან, რომ ხსენებულ სამინისტროს არ შეუწყნარებია უფის ქალაქის თავის შუამდგომლობა.

✦ როგორც იტყობინებიან, მიწად მოქმედების მინისტრი ბ. **ერმოლოვი** არ ჩამოვა ტფილისში საიუბილეო გამოფენის სანახავად. სოჩიდან იგი პირდაპირ პეტერბურგს წავა.

✦ კვირას, 9 სექტემბერს, კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრმა სულთან-კრიმ-გირეიმ, ტფილისში მებაღე-მეურნეთა კრების გახსნის შესახებ დეპეშები გაუგზავნა მათ იმპერატორებით უმაღლესობას დიდს მთავრებს მიხეილ ნიკოლოზის ძეს, ალექსანდრე მიხეილის ძეს, საზოგადოების საპატიო თავმჯდომარეს დიდს მთავრინას ელისაბედ თეოდორეს ასულს და მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ბ-ნ ერმოლოვს.

✦ ტფილისში ჩამოვიდა პეტერბურგიდან ამიერ კავკასიის რკინის გზების უფროსი **ინჟ. ვედენეევი.**

✦ კავკასიის **საბეითალო ნაწილის** გამგე ბ. ზოლოტარიოვი დაბრუნდა განჯის გუბერნიიდან და ამ დღეებში წავა ზაქათალის ოლქში, სადაც პირველად აუცრიან საქონელს ჭირის წინააღმდეგ.

✦ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს ამ სასწავლებლის ქართული ენის მასწავლებლის ბ-ნ კანდელაკის ნაცვლად დაუნიშნავს პეტერბურგის უნივერსიტეტში ახლად კურს შესრულებული ბ-ნი **აბულაძე**, ხოლო ისტორიის მასწავლებლის ბეჟანაშვილის მაგივრად—ბ-ნი **კატანაანცი.**

✦ კვირას, 9 სექტემბერს, კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო **გამოფენას** დიდძალი ხალხი მიაწყდა. ნაშუადღევის სამ-ოთხ საათამდე ისე იყო გაჭედილი ხალხით, განსაკუთრებით უმთავრესი პავილიონი, რომ მოძრაობა და დათვალიერება შეუძლებელი შეიქმნა. ამოდენა ხალხის მისვლა გამოფენაზე ამ დღეს, რაღა თქმა უნდა, აიხსნება მით, რომ კვირაობით ბილეთის ფასი 10 კაპეიკია დანიშნული. ამ დღეს გამოფენაზე 15,000-მდე მნახველი იყო.

✦ აქამდე კავკასიის საიუბილეო გამოფენაზე ყოფილა სულ 516 **მოწაფე.**

✦ **ნობელის ნავთის მრეწველობის პანორამაში** დღემდე ყოფილა 3300 კაცი. მთელი შემოსავალი პანორამისა საბალოსნო სკოლის სასარგებლოდ არის დანიშნული.

✦ 8 სექტემბრიდან 13-მდე საიუბილეო გამოფენასთან დაიწყო **გამოფენა ძაღლებისა.** აქამდე წარმოდგენილია 3 კარგის ჯიშის ძაღლი და რამდენიმე მეძებარი. საწყალი მეძებრები მზეში არიან ხეზე მიკრული.

✦ ქუთაისის გუბერნიის მემამულეს თ. ნიჟარაძეს წარუდგენია **გამოფენაზე** ხორბალი, ბოსტნეულობა (ლობიო, მუხუდო და სხვა) და სიმინდი. წარმოდგენილი ექსპონატები ყურადღებას იქცევს თავის ღირსებით.

✦ გუშინ უნდა შემდგარიყო **სხდომა ორის საექსპერტო კომისიისა**; ერთი იყო მეღვინეობის კომისია და მეორე ხილეულობისა. არც ერთი სხდომა არ შესდგა.

✦ **გამოფენის უმთავრესმა კომიტეტმა** სთხოვა, სხვათა შორის, დაღესტნის გუბერ-

---

სრულიად უსაბუთო და უსაფუძვლო თეორიად უნდა იქმნეს აღიარებული. ეხლანდელი დრამატიული ხელოვნება უბრუნდება კლასსიციზმს, რომლის პრინციპი იყო ერთგვარი შთაბეჭდილების გამოწვევა. ლარუმე თავისის მხრით ეთანხმება ერვიეს. ყოველი მწერალი თავისის ნაწერებიდან გამოიყვანს ხოლმე ამა თუ იმ თეორიას. ერვიემაც ასე მოიმოქმედა, მაგრამ თანამედროვე დრამატიულის ლიტერატურის მიმართულება და თვით საგნის არსებით, თვისებაც აძლევს საფუძველს ერვიეს თეორიასო. ჯერ ერთი თავის-დღეში დრამატიულ ნაწარმოებს არ მიუღწევია იმ იდეალამდის, რომ სასაცილო და სამწუხარო მოვლენა ერთად ყოფილიყოს შერეული. დრამაში ჩვეულებრივად ასეა, რომ სასაცილო სცენები თანა სდევს სამწუხაროს და სერიოზული სცენები—კომიკურს, იმის მაგიერად, რომ სასაცილო და სამწუხარო ერთმანეთში აერია. ამიტომაც კომედიამ დიდროს შემდეგ მრავალი მშვენიერი და დიდებული ნაწერი შეჰქმნა, ხოლო დრამა და მელოდრამა უმეტეს ნაწილად სუსტი იყო ხოლმე.

დღევანდელ თეატრში ცვლილება ხდება, ამ ცვლილების ერთი მამა-მთავართაგანი პოლ ერვიეა. ეს ცვლილება იმაში გამოიხატება, რომ ტრაგედიისა და კომედიის განცალკევებას ცდილობს, ეს მიმართულება ნამდვილი რეალური მიმართულებაა. მართალაც, თუ ცხოვრებაში სამწუხარო და სასაცილო ერთად არის შერეული, ჩვენ პირადად ამ ორ მოვლენის განცალკევებას ვსცდილობთ. ყოველთვის, როცა რაიმე ძლიერ გრძნობას გამოვსცდით ხოლმე, მწუხარების გრძნობაა იგი, თუ მხიარულებისა, იმ წუთში მარტო ერთ გრძნობას ვემონებით და სხვას არას: ან მხოლოდ მწუხარებას ვგრძნობთ, ან მხოლოდ მხიარულებას. მარტო იმიტომ, რომ ძლიერი გრძნობაა, ყოველივე სხვა გრძნობას იმ წუთში აქრობს და თვით განაგებს კაცის აზრთა და ფიქრთ. ეს გრძნობა იპყრობს სავსებით ჩვენს ბუნებას, ჩვენ ყურს გვიხშობს და თვალს გვიხვევს ყოველივე სხვა გრძნობის შესახებ. ლარუმეს აზრით, ერვიეს დრამატიული ნაწარმოები ნამდვილი ტრაგედიაა პროზით დაწერილი. ეს დრამები რასინის დრამებსა გავს იმით, როს მომქმედ პირთა ხასიათის ეთვისება იწვევს დრამატიულ მომენტს. ერვიე, რასინის არ იყოს, გვიხატავს ამა თუ იმ პირადობას, ამა თუ იმ ვნებით ატაცებულს და გვაჩვენებს, რომ ამ ვნებით გამოწვეულია დრამატიული კატასტროფა.

მართალია,—განაგრძობს ლარუმე,—ჩვენის დროის დრამებშიაც მოიპოვება მაღალის წოდების პირები, პოლიტიკურის ინტერესების შეტაკება და ლექსი ფორმათ, მაგრამ ყველა ეს კი არ შეადგენს არსებით მხარეს ტრაგედიისას. ტრაგედია არის უმთავრესად ცხოვრების სერიოზულის მხარის გამოხატვა. მაღალის წოდების პირადობა სცენაზე, პოლიტიკური ინტერესი დრამისა და ლექსი მის ფორმად—ამაებს სთხოვდა ტრაგედიას მონარქიული და არისტოკრატიული საზოგადოება, რომელსაც სურდა ენახა სცენაზედ თავისი მსგავსი პირები.. დღევანდელი ჩვენი საზოგადოება დემოკრატიული ხასიათისაა. ყოველდღიურის ჩვენის ცხოვრების უმთავრესი ინტერესი იმაშია, რომ ჩვენი ვნებების მისწრაფებას წინ ეღობებიან ზნე-ჩვეულება და კანონები. ეს შეტაკება ჩვენის ლტოლვილებისა შემზღუდველ პირობებთან იწვევს დრამატიულ მომენტს, რომელსაც პროზად გამოვსთქვამთ ჩვენის ჩვეულებრივის, უბრალო მომაკვდავთა ენით. თუ ლექსს მივმართავთ, მხოლოდ მისთვის, რომ გამოვხატოთ ჩვენი კერძო, პირადი გრძნობა, ჩვენის ზნეობრივის არსების თვით უღრმესი სურვილები, რომელსაც მარტო ჩვენს თავს გადავუშლით ხოლმე. ბ. ერვიე რასინის ტრაგედიულ სისტემას ჰბაძავს დ დღევანდელ ცხოვრებისა და კაცობრიობას გვიხატავს, ჩვენის თანამოძმის პირადობაში გვაჩვენებს საუკუნო ტანჯვას კაცობრიობისას; ის გვისურათებს მეტად სერიოზულ სანახაობას და აქ რაიმე სასაცილოისა და სამასხაროს შემოტანა მხოლოდ ხელს შეუშლიდა შთაბეჭდილების ძალას. ჩვენ გვიჩვენებს მომქმედ პირებს ჩვეულებრივ პირობაში, არაფერი საოცარი და უცნაური იქ არ არის, მაგრამ ტანჯვა კი მაინც მეტად ძლიერია და უსაზღვროა. ეს მათი ტანჯვა გამოწვეულია იმისაგან, რომ მათ სურვილებსა და მისწრაფებას, მათ ვნებათა ღელვას წინ-ეღობება ხელის-შემშლელი უძლეველი გარემოება—კანონი და ზნე-ჩვეულება.

ჩვენის აზრით, მეტად საყურადღებოა აქ აზრი „ბრჭყალები“-ს ავტორის ერვიესი და დრამატიულის კრიტიკოსის ლარუმესი. ორივენი აღნიშვნენ ახალ მიმართულებას დრამატიულს ხელოვნებაში, რომელიც გამოიხატება ძველის ანა და საუკუნო, სამარადისო პრინციპების გამეორებაში, მხოლოდ ეს პრინციპები ახალს ფორმაშია ხოლმე გახვეული. დრამა ბრძოლა და შეტაკებაა კაცის მისწრაფებათა, სურვილთა, ლტოლვათა და აზრთა და ფიქრთა გარეშე პირობებთან, საზოგადოებასთან და სხვის წინააღმდეგ აზრსა და გრძნობასთან. ამის აღმსრულებელი იყო რასინი და კორნელი, მაგრამ იგინი მთავრებისა და პრინცების სულის ისტორიას ეტანებოდნენ, ეგრეთი იყო მიუცილებელი პირობა დრამის გამარჯვებისა სცენაზე. დღეს კი უბრალო, ჩვეულებრივ მომაკვდავთა სულის კვეთებას გვიხატავენ დრამატიულის ფორმით.

К.

ნატორსაც, რომ გამოეგზავნა გამოფენისათვის რამდენიმე ტიპიური წარმომადგენელი ხსენებულ ოლქისა. დაღესტნის უფროსს შემოუთვლია კომიტეტისათვის, რომ წარმომადგენელთა დათვალიერების შემდეგ იგი დარწმუნდა, რომ არც ერთი მათგანი გამოსადეგი არ არის გამოფენისათვის.

✦ გუშინ, 10 სექტემბერს ტფილისის ქალაქის საბჭოს სხდომა ხმოსანთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო არ შესდგა.

✦ **გამოფენის** უმთავრესი პავილიონი უვენტილიაციოდ არის, ამიტომ მეტად ძნელი ხდება ექსპონატების დათვალიერება, როცა ცოტა ბლომად არის ხალხი. დეკორატიულ მცენარეობის განყოფილებაში ხომ სულის მოთქმა სჭირს. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ ბბ. გამგენი მიდიან ხოლმე გამოფენაზე 12-ს საათზე და მათ მოსვლამდე კი არავისაგან არავითარი ცნობის მიღება არ შეიძლება, რადგან კატალოგები აქამდე არ დაუმზადებიათ.

✦ ტფილისში ამ ჟამად საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდან დიდი ხალხი ჩამოდის კავკასიის გამოფენის სანახავად. რასაკვირველია, თქმა უნდა, უმრავლესობას აქ ნათესავები არ ეყოლება და ძალა-უნებურად სასტუმროებში უნდა გაჩერდეს რამდენიმე დღით. ტფილისში ხალხის ჩამოსვლამ მადა გაუღვიძა ქალაქის სასტუმროების ზოგიერთ პატრონებს და მეტად უღმერთო ფასებს იხდევინებიან ნომერში ღამის გასათევად. მაგალითად, ადრე დღე-ღამეში 50—80 კ. ნომერი ეხლა 3—4 მანეთი გახადეს. საჭიროა ზომები იქმნეს მიღებული, რომ მადა გაღვიძებულთ თარეშობა შეზღუდულ იქმნას.

✦ სოჩის სამეურნეო საცდელ სადგურმა წარმოადგინა **გამოფენაზე** ექსპონატებად—სხვა და სხვა ნაირი ხორბალი და 92 გვარი კარტოფილი.

✦ უსახელო საზოგადოებამ დააარსა ახალი თანამდებობა **ტფილისის ტრამვაის** დირექტორის თანაშემწისა. ამ თანამდებობაზე უკვე დაუნიშნავთ ბელგიელი სპეციალისტი, რომელიც ამ დღეებში ჩამოვა ტფილისს.

✦ სამთო დეპარტამენტის უფროსი ბ. იოსსა წავიდა ბაქოში.

✦ ტფილისის ქალაქის **გამგეობის მდივნის** თანამდებობაზე დანიშნეს ხმოსნად ყოფილი პ. მიხ. იაკიმოვი.

✦ დღეს დ. სოჩში მიდის მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებული **ბ. მედვედევი** მინისტრ ერმოლოვის სანახავად.

✦ ადგილობრივ გაზეთებში წავიკითხეთ, რომ ბ. **ვეტცელს** გამოფენის საკუთარ პავილიონში გაუყიდნია მატლებიანი ბუტერბროდი, რისთვისაც კომისარიატმა მას ვაჭრობა აუკრძალა გამოფენაზე. ბ. ვეტცელი საბჭოს ხმოსანია და სანიტარულ კომისიის ყოფილი წევრი.

✦ ტფილისის ქალაქის მოურავმა შეატყობინა ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიის თავმჯდომარეს, რომ პუშკინის სახელობის ტფილისის მეორე **პირველ დაწყებით სკოლის გამგედ** სათანადო მთავრობისაგან დამტკიცებულ იქმნა მასწავლებელი ბარბარე გრიგოლის ასული კაპანაკოვიი.

✦ ბორჩალოს მაზრაში 29 აგვისტოდან დაიკარგა სახელმწიფო ტყის დარაჯი ბელოუსოვი. აქამდე ვერ მიაგნეს მის კვალს.

✦ ამ დღეებში ს. გლდანში ვიღაც ბოროტ-განმზრახველებმა **მოჰკლეს** თამამშევის მებაღე ხ. მკვლელებს თან წაეღოთ მოკლულის ყველა ნივთები და 400 მანეთამდე ფული.

✦ გასულ კვირას გამოფენაზე დიდძალ ხალხის თავ-მოყრის დროს თავი ისახელეს **ჯიბგირებმა**. ბევრს დაუცალიერეს ჯიბე. არ დაზოგეს ექსპონატებიც: ნადირობის განყოფილებიდან მოიპარეს გამოფენილი რევოლვერი.

✦ კვირას, 9 სექტემბერს, ქ-ნ მერკულიევას ლუდხანაში (ნავთლუღი) შევიდა ახალგაზდა ივანე ტიმოფეევი, ძალზე დამთვრალი. ცოტა ხანს იქით ტიმოფეევი გავიდა გზაში და ლუდხანაში მყოფთ მოესმათ რევოლვერის ხმა. ხალხი გარეთ გამოვარდა და დაინახეს სასიკვდილოდ დაჭრილი ტიმოფეევი. დაჭრილი საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 7 სექტემბერს, პოლიციის მე-2 ნაწილში თავ. ვ. მ. ციციშვილმა განაცხადა, რომ მას ვიღაც ბოროტ განმზრახველმა ბინიდან (ტროფიმოვის სახლში) მოჰპარა ორი პალტო 150 მან. ღირებული. ქურდობაში ეჭვი არავიზე არ აქვთ. გამოძიება სწარმოებს.

✦ პოლიციის პირველს ნაწილში, კალიუჩი ბალკაში, 8 სექტემბერს, ნიკოლაევის სახლში უეცრად გარდაიცვალა ტფილისის მოქალაქის მეუღლე ევდოკია სერგოს ასული დანაგოვისა. უეცრად გარდაცვალების მიზეზის გამოსარკვევად გარდაცვალებულიდანაგოვის გვამი მიხეილის საანატომო განყოფილებაში გაგზავნეს.

პრესსა

ჟურნალ „რუსსკ. მისლ“-ის უკანასკნელ №-ში შინაური მიმომხილველი ეხება რუსეთის ზოგიერთ გუბერნიებში გაძლიერებულს შიმშილობას და სცდილობს გამოარკვიოს მისი უმთავრესი მიზეზი. მიმომხილველის აზრით, სოფლის უნუგეშო მდგომარეობის თავი და თავი მიზეზი—უმეცრებაა. გლეხთა კულტურის დღევანდელი მდგომარეობა ვერ წარმოადგენს შესაფერს ნიადაგს მეურნეობის გაუმჯობესებისათვისაო. როგორ უნდა გაუმჯობესდეს მეურნეობის ტეხნიკა იმ ხალხში, რომელიც, მაგალითად, გვალვის მიზეზად სეპარატორის გამოგონებას სთვლისო; სეპერატორი-მანქანაა, რომელიც ნაღებსა ჰხდის რძეს და აი ამ მანქანას პერმის გუბერნიის გლეხებმა „ეშმაკის მოგონება“ უწოდეს და მას გადააბრალეს გვალვა.

> „დასავლეთ ევროპაში, განაგრძობს ავტორი, ასეთი შიმშილობა არასოდეს არ ეწვევა სოფელს, ინგლისსა, საფრანგეთს, გერმანიასა, დანიაში და სხვაგან კულტურამ ასწავლა ხალხს სავსებით ისარგებლოს ბუნებრივ სიმდიდრით. იქ იციან, როგორ უნდა უზრუნველ ჰყონ თავისი თავი შიმშილისაგან: ცოდნა და ასსოციაცია იქ სასწაულს ახდენს“...

უწინ, როდესაც ქვეყნების განვითარება სუსტად და ნელის ნაბიჯით მიდიოდა წინ, დასავლეთის ერების პროგრესსი არ იყო ჩვენთვის საშიშიო, ამბობს მიმომხილველი; მაგრამ ეხლა ის ერები საკვირველი სისწრაფით ვითარდებიან და ჩვენ, რუსები, ძალიან ჩამოვრჩებით უკანო, რაც საშიშარ მომავალს გვიქადისო.

> „შეხედეთ, განაგრძობს ავტორი, როგორ ავრცელებენ იტალიაში აგრონომიულს ცოდნას მოგზაურ ლექტორთა საშუალებით, როგორ გაავრცელეს იქ მაჩვენებელი და საცდელი მინდვრები; როგორ მოაწყვეს სეტყვასთან ბრძოლა; როგორ მოჰფინეს მთელი იტალია სპეციალურ და საზოგადო განათლების სკოლებით. ჩვენში-კი გლეხები ჯერაც ადამის წლის გუთნებით მუშაობენ და არავითარი წარმოდგენა არა აქვთ რაციონალურ მეურნეობის შესახებ. ჩვენი სიმდიდრე გადადის უცხოელთა ხელში; წაი და უწუმ ვკითხულობთ, რომ ესა თუ ის საქმე შეიძინეს ბელგიელებმა ან ინგლისელებმა, ჩვენ-კი ღრმა ძილში ვართ უმეცრების წყალობით. სხვა ერები-კი, განათლების ფართოდ გავრცელების მეოხებით, წინ გვისწრებენ... ნუ-თუ ეს ბოროტ-მოქმედება არ არის და ნუ-თუ ჩვენ პასუხის მგებელნი არა ვართ მომავალ თაობათა წინაშე“?!.

კავკასიის მებაღე-მეურნეთა კრება

კვირას, 9 სექტემბერს, ტფილისის პირველ სავაჟო გიმნაზიის დარბაზში დაიწყო სხდომები კავკასიის მებაღე-მეურნეთა კრებისა, კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრის სულტან-კრიმ-გირეის თავმჯდომარეობით. სხდომის დაწყებამდე გარდახდილ იქმნა მცირე პარაკლისი გიმნაზიის მღვდელის მ. ხელაძის მიერ, რომელმაც პარაკლისის შემდეგ შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე სააბრეშუმო სადგურის გამგემ ბ-ნ ნ. შავროვმა, რომელმაც მოკლედ აუწყა დამსწრეთ მიზანი კრებისა, და ქალაქის წარმომადგენელმა ბ-ნმა ა. ქალანთარმა; დიდხანს ილაპარაკა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წარმომადგენელმა მიკოლოგმა ა. ა. იაჩევსკიმ. ბ-ნმა იაჩევსკიმ კრებას წარმოუდგინა ისტორიული მიმოხილვა მეურნეობის განვითარებისა და უმთავრესი ყურადღება მიაქცია სხვა და სხვა საშუალებებს მწერებთან საბრძოლველად, რომელთა გავრცელება-გაძლიერება დიდად მავნებელია მეურნეობისათვის. ამ დღის სხდომაზე კრებამ მოასწრო შემუშავება წესისა, თუ როგორ უნდა განიხილონ ცალ-ცალკე მეურნეობა-მებაღეობის ყველა დარგთა შესახები საკითხები. კრება განაწილებულ იქმნა 8 სექციად; პირველი სექცია, მიწად-მოქმედების დეპარტამენტის მოხელის ვ. ი. მასალსკის თავმჯდომარეობით და ი. გ. ქუთათელაძის მდივნობით, განიხილავს საკითხებს და წარმოგენილ მოხსენებათ მეურნეობის შესახებ; მეორე სექცია—მევინე მევენახეობის შესახებ—იმუშავებს გ. ი. გოგოლიანოვსკის თავმჯდომარეობით; მესამე—ტყის მოვლა-მოშენების შესახებ, თავმჯდომარედ იქნება ვ. ი. ლისნევსკი, მეოთხე—მეფუტკრეობისა; საპატიო თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა პროფესორი გლაზენაპი, ხოლო მის ამხანაგად გ. ლ. შეილი, მდივნად—ბ. კარგაჩოვი; მეხუთე - მეაბრეშუმეობისა, თავმჯდომარეა ნ. შავროვი, მდივანი დ. პ. ანტროპოვი; მეექვსე—მცენარეულობათ მავნე მწერებისა და მათთან საბრძოლველ საშუალების გამოსარკვევ საკითხებს სექცია განიხილავს მიწად-მოქმედების სამინისტროს უფროსი მიკოლოგის ა. იაჩევსკის თავმჯდომარეობით; მეშვიდე სექცია, ნიკიტის მევინეობის სკოლის დირექტორის ბ-ნ სტრახოვის თავმჯდომარეობით, განიხილავს საკითხებს მეურნეობის ცოდნის გავრცელების შესახებ და მერვე სექცია მიწის ნიადაგის გაუმჯობესობის შესახებ. რადგანაც მეშვიდე სექციის სხდომებზედ დასასწრებლად ბევრი სოფლის მასწავლებელი ჩამოვიდა, კრებამ გარდასწყვიტა ამ სექციის სხდომა პირველად მოახდინოს 10 სექტემბერს ტფილისის სააბრეშუმო სადგურის დარბაზში.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

10 სექტემბერი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა აღკრძალა ერთის თვით „პეტერბურგის გაზეთის“ კერძოთ გაყიდვა.

კურგანი. გაიხსნა მესამე სასულიერო სასწავლებელი.

ასტრახანი. გაიხსნა საგუბერნიო გამოფენა პირუტყვების მოშენებისა.

კელნი. რკინის გზის მატარებელმა, რომელშიაც ბრძანდებოდნენ ხელმწიფე თავის ოჯახობით, გაიარა დილის 4 საათ 15 წ. კელნზე გაუჩერებლად.

ბრემენი. ასეთმავე მატარებელმა ჩაიარა ბრემენში 1 ს. 15 წ. ნაშუადღევს.

გამბურგი. ხელმწიფე იმპერატორი ოჯახობით მობრძანდა ნაშუადღევის 3 ს. და 30 წამზე; რამდენიმე წამის შემდეგ გაემგზავრნენ კილში. გრაფი ლამსდორფი წავიდა ბერლინში, საიდანაც ის 9 სექტემბერს საღამოს 11 საათზე გაემგზავრა პეტერბურგში.

კილი. ხელმწიფე იმპერატორს მიეგება პრინცი ჰენრიხი ცოლითურთ და ქალიშვილებით, აგრეთვე დახვდნენ აქ პრინცი პეტრე ალექსანდრეს ძე ოლდენბურგელი ცოლით და საბერძნეთის მემკვიდრე ნიკოლოზი. ბრწყინვალე სტუმრები გაემგზავრნენ სასახლეში, სადაც დაჰყვეს 2 საათი.

დიუნკირხენი. ფრანგების და რუსების სადღესასწაულო ცხრილი ჯერაც არ გათავებულა. იმპერატორის გვარდიის პოლკის სამხედრო მუზიკა უკრავს საგანგებო გამართულ კონცერტებზე. კინაღამ საშიში ფათერაკი არ დატრიალდა, რომელიც იმსხვერპლებდა რამოდენიმე კაცს. ხიდი გემ „სვეტლანა“-სი ჩაინგრა უთვალავი ხალხის სიმძიმით, 6 კაცი ჩავარდა წყალში, მაგრამ ყველა გადაარჩინა მხედარმი დიაკონოვმა; წყალში ჩავარდნილთ რიცხვში სამი რუსიც ერია.

რომინტენი. იმპერატორი ვილჰემი შვიდ საათზე მოვიდა რომინტენის სანადირო ციხე დარბაზში.

პეკინი. ქალაქში სრული მშვიდობიანობა სუფევს მას შემდეგ, რაც პეკინიდან სხვა სახელმწიფოთა ჯარები წავიდნენ, წესიერებას იცავს იუნშიკაის მხედრობა. ადგილობრივნი მკვიდრნი მეგობრულად ექცევიან უცხოელებს, რომელნიც უიარაღოთ თამამად დადიან მათ შორის. პრინცმა ცუნმა დღეს წერილობით შეატყობინა ელჩებს, რომ ჩინეთის მთავრობას სურს გაჰგზავნოს კიდევ სამი [illegible] და ორის პრეფექტის [illegible]; დეპუტაცია მივა ავსტრალიაში, ამერიკაში, ფილიპინის კუნძულებზე, იავაში, ბორნეაში, საიგონსა და სინგაპურში, რათა იქაური ჩინელები დაითანხმოს და მონაწილეობა მიაღებინოს იმ სესხის ალებაში, რომელიც საზღაურის გადასახდელად უნდა აიღონ. ამავე დროს ცინმა სთხოვა ელჩებს, რომ ჩინელ კომისრებს რწმუნების წერილები გადასცენ.—პეკინში მოვიდა კორეიაში მყოფ საფრანგეთის საკონსულოს აგენტი, რომელსაც ჰსურს მიწა შეიძინოს კორეიის საელჩოს შენობისთვის. რუსეთისა და საფრანგეთის ელჩებმა თავიანთი ადგილი შეაძლიეს, რომელიც საელჩოს ნაწილში მდებარეობს.

მოსკოვი. სადგურ შილოვოზე, მოსკოვისა და ყაზანის რკინის გზაზე, 9 სექტემბერს მოხდა კატასტროფა: სამხედრო მატარებელს № 24-ს დაეჯახა საქონლის მატარებელი № 93; დაიმტვრა 6 ვაგონი და დაიჭრა 4 ჯარის კაცი.

არხანგელსკი. მხატვარი ბორისოვი მშვიდობიანად დაბრუნდა თავის მოგზაურებით ახალი ქვეყნიდან.

კოვნო. დღეს გახსნეს და აკურთხეს გუბერნატორის თანადასწრებით კერძო სავაჭრო სკოლა, რომელიც ექვემდებარება ფინანსთა მინისტრს.

ყაზანი. გაიხსნა ახალი ასტრონომიული ობსერვატორთა უნივერსიტეტი, რომელსაც დაერქვა ენგელგარტის სახელი.

გელზინგფორსი. პრინცი პეტრე ალექსანდრეს ძე და საბერძნეთის მემკვიდრე ნიკოლოზი წაბრძანდნენ $2^1/_2$ საათზე ნაშუადღევს კილში.

პარიზი. ჯარის დახედვის შემდეგ პარიზის მუნიციპალიტეტის საბჭოს თავმჯდომარემ დოსსემ გამოითხოვა განსაკუთრებული დრო სათათბიროდ; ხელმწიფემ ნება დართო და მოიწოდა დოსსე, რომელიც მიესალმა მის უდიდებულესობას საბჭოს სახელით; დოსსემ უღრმესი პატივისცემით მოახსენა ხელმწიფეს, რომ დიდათ სწუხს პარიზის მცხოვრებნი, რომ 1896 წელს შემდეგ ვერ ინახულეს მისი უდიდებულესობა. ხელმწიფემ მადლობა გამოუცხადა დოსსეს და სთხოვა გადასცეს მის ამხანაგებს მადლობა მისი უდიდებულესობის დედოფლის მაგიერ იმ მისასალმებელ ადრესისათვის, რომელიც მიიღეს დიუნკირხენში. იმპერატორმა მწუხარება გამოაცხადა, რომ ეხლა მას არ შეუძლიან ესტუმროს პარიზს.

ბერგენი. საღამოს, 11 ს. და 45 წ. დიდი ცეცხლი გაჩნდა ალვერსეში. მანუფაქტურისა და კოლონიალური საქონელი და ნავთი მდიდარ მასალას წარმოადგენდა ცეცხლისთვის; დაიწვა რამდენიმე შენობა. ცეცხლი გემებსაც კინაღამ მოედო. ერთი ცეცხლის შქრობელი მოკვდა, მეორე მძიმედ დაჭრილია. ზარალი მეტად დიდია.

პანიი მოზელზე. იმპერატორის მატარებელი დანიშნულ დროზე გადავიდა საზღვარზე.

პარიზი. ის დაუვიწყარი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა საფრანგეთში რუსეთის მეფე-დედოფლის მოსვლამ, გამოიხატა დღეს პრესსაში. „ჟურნალი“ და „ტანი“ ამბობენ, რომ ახალი სტუმრება რუსეთის იმპერატორისა, ეკუთვნოდა უფრო ჯარსა და ფლოტს, ამიტომაც პროგრამასაც თითქმის მარტო სამხედრო ხასიათი ჰქონდა. ის ქება, რომელიც უძღვნა მეგობარმა მონარქმა ჩვენ ჯარს, გულში ჩაებეჭდა ყოველ ფრანგს. მამულიშვილური სიტყვა პრეზიდენტისა გამომხატველი იყო მთელის ქვეყნის გრძნობისა. მელინის «რეპუბლიკ»-მა უძღვნა გვირგვინოსან სტუმრებს აღტაცებული წერილი. „ფრანგ-რუსთა კავშირი მშვიდობიანობის მომხრეა, ორივე ქვეყნის განზრახვა კეთილშობილი და მშვიდობიანია, მიუხედავათ იმისა, რომ გადაწყვეტილი აქვთ დაიცვან თავიანთ სასიცოცხლო ინტერესები.

რედაქტორი ხდ. [illegible]

გამომცემელი ხდ. ჯაბადარი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Сентября 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.